



საპოლიტიკო  
საზოგადოების  
ინსტიტუტი

## ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება

ბათუმის მუნიციპალიტეტის შეფასების ანგარიში

წინამდებარე შეფასების განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში. მასალა მომზადებულია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და შესაძლებელია არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2024 წელი

## სარჩევი

ტექსტში გამოყენებული ცხრილები.....	3
შეჯამება.....	4
თავი 1 შესავალი.....	5
1.1 შეფასების მიზანი.....	5
1.2 მეთოდოლოგია .....	5
1.3 შეფასების შეზღუდვები.....	10
თავი 2. ძირითადი მიგნებები .....	12
რეკომენდაციები .....	30
დანართები.....	33
დანართი N1 მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.....	33
დანართი N2 მონაწილეობის მნიშვნელობა.....	36
დანართი N3 მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო.....	37
დანართი N4 დასახლების საერთო კრება .....	38
დანართი N5 პეტიცია .....	39
დანართი N6 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.....	40
დანართი N7 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომები.....	41
დანართი N8 მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.....	42
დანართი N9 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება.....	43
დანართი N10 გენდერული თანასწორობის საბჭო.....	44
დანართი N11 მონაწილეობითი ბიუჯეტის/სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა .....	45
დანართი N12 ახალგაზრდული საბჭო.....	47
დანართი N13 შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე საბჭო.....	48
დანართი N14 ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა (OGP).....	49
დანართი N15 ინოვაციური მექანიზმები.....	49
დანართი N16 მონაწილეობის დონეები .....	51
დანართი N17 ზოგადი ტენდენციები .....	52
დანართი N18 შესაძლებლობების განვითარება .....	53
დანართი N19 სერვისები.....	54
დანართი N20 ბათუმის მუნიციპალიტეტის პროფილი.....	59

## ტექსტში გამოყენებული ცხრილები

ცხრილი N1 საერთო შეფასების განმარტება	7
ცხრილი N2 ელექტრონული კითხვარის სტრუქტურა	8
ცხრილი N3 მონაწილეობის მნიშვნელობა	13
ცხრილი N4 მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო	14
ცხრილი N5 მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები	15
ცხრილი N6 პეტიციის მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	17
ცხრილი N7 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	17
ცხრილი N8 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	18
ცხრილი N9 მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	19
ცხრილი N10 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	20
ცხრილი N11 გენდერული თანასწორობის საბჭოს შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	20
ცხრილი N12 მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები	21
ცხრილი N13 ახალგაზრდების ჩართულობის საკონსულტაციო მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	22
ცხრილი N14 შშმ პირთა ჩართულობის საკონსულტაციო მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით	22
ცხრილი N15 მონაწილეობის დონეები	23
ცხრილი N16 შესაძლებლობების განვითარება	25
ცხრილი N17 სერვისები	27
ცხრილი N18 მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება	29
ცხრილი N19 მოსახლეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია	59
ცხრილი N20 თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა	60
ცხრილი N21 ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა	60
ცხრილი N22 ბათუმის მუნიციპალიტეტის შეფასება ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსში	60
ცხრილი N23 ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	61

## შეჯამება

ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება ბათუმის მუნიციპალიტეტში 2023 და 2024 წლებში განხორციელდა და გამოავლინა მოქალაქეთა ჩართულობის დადებითი პრაქტიკები და გამოწვევები სამი წლის პერსპექტივით (2020, 2021, 2022). აღნიშნული პროცესი მოიცავდა როგორც მუნიციპალიტეტის თვითშეფასებას ელექტრონული კითხვარის საშუალებით (რომლის ძირითადი ნაწილი ვერიფიკაციის წყაროებით დადასტურებას მოითხოვდა), ასევე შეფასებას დაინტერესებული მხარეების ფოკუს ჯგუფის მხრიდან.

შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტი უფრო მაღალი ხარისხით, ხოლო ფოკუს ჯგუფის მონაწილეები კი შედარებით კრიტიკულად აფასებენ მონაწილეობთ პროცესებს. ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით შეფასებით მუნიციპალიტეტმა 2.01 ქულა დააგროვა, რაც ინფორმირების დონეს შეესაბამება, ისევე როგორც ფოკუს-ჯგუფში დაინტერესებული მხარეების მიერ 10 ბალიან სისტემაში 4,2 ქულით შეფასება. რაც შეეხება თვითშეფასების მონაცემებით მიღებულ შედეგს, იგი 2,95 ქულას შეადგენს და კონსულტირების დონეს აღნიშნავს.

თვითშეფასების პროცესიდან გამოვლინდა, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობისთვის გარკვეული მექანიზმი დანერგილია (მაგალითად, სათათბირო საბჭოები, სოციალური ქსელი და პირისპირ შეხვედრები), თუმცა მათი გამოყენება და მათი საშუალებით მოქალაქეთა საჭიროებებისა და რეკომენდაციების გაჟღერება აქტიურად არ მიმდინარეობს, რის ძირითად მიზეზად მუნიციპალიტეტი მოსახლეობის პასიურობას ასახელებს. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილის აზრით აღნიშნულს ემატება მოქალაქეთა არასათანადო ინფორმირება, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რომელიც ნიჰილიზმის დამკვიდრებას უწყობს ხელს და ის ფაქტი, რომ რეალური შედეგების მიღწევა ვერ ხერხდება.

# თავი 1 შესავალი

## 1.1 შეფასების მიზანი

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით (USAID) „ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის“ ფარგლებში ბათუმის მუნიციპალიტეტში განახორციელა საპილოტე ინიციატივა, რომელიც გულისხმობს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასებას.

მუნიციპალიტეტების მიერ მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასების დანერგვის მიზანია როგორც არსებული მდგომარეობის შეფასება, ისე მიღებული შედეგების გაანალიზება და ამის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის ზრდა, მონაწილეობითი დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის განხორციელება და ზოგადად, საქმიანობის გაუმჯობესება. აღნიშნული ინსტრუმენტი ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების საქმიანობის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებულ სტანდარტებთან დაახლოებას (მათ შორის LSG Index-ში მდგომარეობის გაუმჯობესებას), ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის დამკვიდრებას, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პრინციპების დანერგვას, დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესებასა და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევას.

თვითშეფასების პროცესი მუნიციპალიტეტებს აძლევს საშუალებას კრიტიკული თვალთ დააკვირდნენ, გაანალიზონ და ახალი პერსპექტივით შეხედონ პროცესებს; ხელს უწყობს შედეგებზე მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტაციით მსჯელობას; თვითანალიზი ეხმარება საკვლევი საკითხის შესახებ სრული და ფართო სურათის დანახვაში; აუმჯობესებს კომუნიკაციას სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულს შორის და ხელს უწყობს საერთო ხედვის ჩამოყალიბებას; მხარს უჭერს საქმიანობის ხარისხის შიდა კონტროლის კულტურის დამკვიდრებასა და გაძლიერებას; როდესაც ორგანიზაციაში დანერგილია თვითშეფასების პრაქტიკა, ეს ნიშნავს, რომ იგი მიმართულია განვითარებასა და ზრდაზე. შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თვითშეფასების ინიციატივა არის სწავლაზე ორიენტირებული და არ ეფუძნება შეჯიბრებითობის პრინციპს. მიღებული გამოცდილებისა და შედეგების საფუძველზე მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიმუშაოს მონაწილეობითი პრაქტიკების გაუმჯობესების სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამა.

## 1.2 მეთოდოლოგია

ბათუმის მუნიციპალიტეტმა მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის თვითშეფასების მექანიზმი 2023 წელს მეორედ განახორციელა. იგი მოიცავდა სამი წლის (2020, 2021, 2022) ტენდენციების გამოკვეთას. უშუალოდ თვითშეფასების პროცესამდე, დეტალური

საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, სადაც მათ მიეწოდათ ინფორმაცია ერთი მხრივ თვითშეფასების პროცესზე და ელექტრონულ კითხვარზე, მეორე მხრივ კი ფოკუს-ჯგუფის წარმართვის მეთოდოლოგიასა და პროცედურაზე.

მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასებისთვის მონაცემების მისაღებად გამოყენებულია ერთი მხრივ, **თვითშეფასების ელექტრონული კითხვარი**, რომლის საშუალებითაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები თავად აფასებენ მონაწილეობით პროცესებს საკუთარ მუნიციპალიტეტებში და მეორე მხრივ, გარე **შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ**, რომლის შედეგადაც ვლინდება თუ რამდენად არის მონაწილეობითი პროცესების შესახებ მუნიციპალიტეტებისა და მოქალაქეების მოსაზრებები თანხვედრაში, რა საჭიროებები და გამოწვევები აქვთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და რამდენად კმაყოფილები არიან არსებული მდგომარეობით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ობიექტური და მრავალმხრივი მონაცემების შეგროვებასა და სურათის სხვადასხვა პერსპექტივით დანახვას.

შესაბამისად, თვითშეფასების პროცესი კომპლექსურია და მოიცავს შემდეგ ძირითად ნაბიჯებს:

- ❑ *მუნიციპალიტეტში საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც ბათუმში მერის ბრძანებით დამტკიცდა (იხილეთ [დანართი N1](#)). ჯგუფის შექმნისას, მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა, რომ ჯგუფში შემავალ საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებს უნდა ჰქონოდათ ისეთ შინაარსობრივ და ტექნიკურ საკითხებში კომპეტენცია როგორცაა<sup>1</sup>: შეხება მონაწილეობის საკითხებთან; წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე; მონაცემების თავმოყრისა და ანალიზის შესაძლებლობა/უნარები; ვებგვერდზე მონაცემების მოძიების შესაძლებლობა/უნარები; Google Drive-ზე მუშაობის შესაძლებლობა/უნარები; შეფასების ელექტრონული პროგრამის (ppmeter.ge) გამოყენებისთვის საჭირო ციფრული უნარები (ანგარიშის მართვა, ელექტრონული ფორმის შევსება, მონაცემების შენახვა და ა.შ.); ფოკუს ჯგუფის ჩატარების უნარები.*
- ❑ *თვითშეფასების ელექტრონული კითხვარის ინსტრუქციის გაცნობა;*
- ❑ *რეგისტრაცია ვებ-გვერდზე [www.ppmeter.ge](http://www.ppmeter.ge) ;*
- ❑ *კითხვების გადანაწილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის შესაბამის სამსახურებში;*
- ❑ *Google Drive-ის საქალაქის შექმნა ვერიფიკაციის წყაროების ასატვირთად;*
- ❑ *მონაცემების შეგროვება და ანალიზი;*
- ❑ *პასუხების თავმოყრა და ელექტრონულ კითხვარში შეტანა;*
- ❑ *ვერიფიკაციის წყაროების შეტანა Google Drive-ის საქალაქდეში;*

<sup>1</sup> არ არის სავალდებულო ჯგუფის თითოეული წევრი ყველა ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს. მაგ. შესაძლებელია ფოკუს ჯგუფის ჩატარებაზე ერთი ადამიანი იყოს განსაზღვრული.

- ☒ ფოკუს-ჯგუფის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;
- ☒ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა შერჩევა და ორგანიზება;
- ☒ ფოკუს-ჯგუფის ჩატარება;
- ☒ ანგარიშის მომზადება.

შეფასების შედეგად, მუნიციპალიტეტი იღებს ზოგად შეფასებას 4-დონიან სისტემაზე:

ცხრილი N1 საერთო შეფასების განმარტება

დონე	ქულა	განმარტება
IV დონე	3.26 - 4 ქულა	სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის მაღალი ხარისხი
III დონე	2.50-3.25 ქულა	მეტ-ნაკლებად სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის საშუალო ხარისხი
II დონე	1.75 - 2.49 ქულა	ნაკლებად სასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი ხარისხი
I დონე	1-1.74 ქულა	არასასურველი მდგომარეობა, მოქალაქეთა მონაწილეობის ძალიან დაბალი ხარისხი ან სიმბოლური მონაწილეობა

გარდა ზოგადი შეფასებისა, მუნიციპალიტეტი იღებს როგორც ქულობრივ, ისე ნარატიულ შეფასებას კონკრეტული საკითხების (ბლოკების) შესახებ, რაც ეხმარება მას უკეთ გამოკვეთოს პრობლემები და გამოწვევები სხვადასხვა მიმართულებით. ეს ერთგვარი რეკომენდაციებია მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებს სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

აღსანიშნავია, რომ შეფასებას მუნიციპალიტეტი იღებს ელექტრონული კითხვარის საფუძველზე მიღებული ქულების შედეგად. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფის მიერ მინიჭებული ქულა არ მონაწილეობს საერთო შეფასებაში, იგი აისახება როგორც ელექტრონულ კითხვარში, ასევე შეჯამებული ანგარიშის წარმოდგენისას და საინტერესო სურათს იძლევა.

**თვითშეფასების ელექტრონული კითხვარის** საშუალებით, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე [www.ppmeter.ge](http://www.ppmeter.ge), მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებმა შეაფასეს მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი. კითხვარი შედგება 9 ბლოკისგან, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს 30 ქვე-ბლოკს და ორი სახის შეკითხვებს: შეფასებითი კითხვები (სუბიექტური), რომლის საშუალებითაც, ვლინდება მუნიციპალიტეტის ზოგადი დამოკიდებულება და მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე და ფაქტობრივი კითხვები (ობიექტური), რომელზე პასუხის დაფიქსირებაც გარკვეულ მონაცემების ანალიზზე დაფუძნებით უნდა მოხდეს (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში N 2). მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტი ელექტრონული კითხვარის შეფასების პროცესში



თავს უყრის ყველა საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ხდება პასუხების გაცემა-დამოწმება და ათავსებს მათ Google Drive-ის წინასწარ შექმნილ საქალაქლოდეში<sup>2</sup>:

*ცხრილი N2 ელექტრონული კითხვარის სტრუქტურა*

თემატური ბლოკის დასახელება	კითხვების რაოდენობა	ჯამური ფაქტობრივი კითხვების რაოდენობა	შეფასებითი კითხვების რაოდენობა
<b>ბლოკი I - ზოგადი ინფორმაცია</b>	42	42	0
<b>ბლოკი II - მონაწილეობის მნიშვნელობა</b>			
2.1 დამოკიდებულება	13	4	9
2.2 წახალისება			
<b>ბლოკი III - მარეგულირებელი ჩარჩო</b>			
3.1 სტრატეგია/ხედვა			
3.2 ყოველწლიური ანგარიში			
3.3 სახელმძღვანელო	23	22	1
3.4 სამუშაო აღწერილობა			
3.5 ბიუჯეტი			
3.6 საკრებულოს მიერ კონტროლი/ზედამხედველობა			
<b>ბლოკი IV - მონაწილეობის მექანიზმები</b>			
4.1 დასახლების საერთო კრება			
4.2 პეტიცია			
4.3 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო			
4.4 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება	106	86	20
4.5 მერისა და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა			
4.6 ბიუჯეტის შემუშავება			
4.7 გენდერული თანასწორობის საბჭო			
<b>ბლოკი V - დამატებითი მექანიზმები</b>			
5.1 მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამა			
5.2 ახალგაზრდული საბჭო	86	81	5
5.3 შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო			
5.4 ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა			
5.5 ინოვაციური მექანიზმები			
<b>ბლოკი VI - მონაწილეობის დონეები</b>			
6.1 ინფორმირება	27	19	8
6.2 კონსულტირება			
6.3 პარტნიორობა			
<b>ბლოკი VII - ზოგადი ტენდენციები</b>	10	0	10
<b>ბლოკი VIII - შესაძლებლობების განვითარება</b>			
8.1 თანამშრომლები	11	10	1

<sup>2</sup> შეფასების მეთოდოლოგია და ელექტრონული კითხვარის შევსების დეტალური ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე: <https://drive.google.com/file/d/1vJXF-8xf0YF2WXZPMGwzuTiYXVMb7SPK/view>



8.2 მოქალაქეები			
<b>ბლოკი IX - სერვისები</b>			
9.1 შიდა ტრანსპორტი			
9.2 გარე ვაჭრობა	76	60	16
9.3 ბიუჯეტის პროექტი			
9.4 სივრცითი მოწყობა			
9.5 უპატრონო ცხოველები			
<b>კითხვების ჯამური რაოდენობა:</b>	<b>394</b>	<b>324</b>	<b>70</b>

**რაც შეეხება ფოკუს-ჯგუფებს დაინტერესებულ მხარეებთან,** რომელიც თვითშეფასების პროცესის შემადგენელი მეორე კომპონენტია, სხვადასხვა აქტორის პერსპექტივით ხდება იმავე საკითხების განხილვა და შეფასება, რაც ელექტრონულ კითხვარში მუნიციპალიტეტებმა შეაფასეს.

ფოკუს ჯგუფს მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება როგორც მუნიციპალიტეტის მიერ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელში სათანადო ინფორმაციის გამოქვეყნებით, ასევე კონკრეტული სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლების მოწვევით. ფოკუს ჯგუფის შემადგენლობაში სასურველია წარმოდგენილი იყოს 8-12 ადამიანი, მათ შორის: საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მედია, მუნიციპალიტეტთან არსებული საკონსულტაციო/სათათბირო საბჭოები, აქტიური მოქალაქეები/თემის ლიდერები. ფოკუს ჯგუფის შემადგენლობისას, რეკომენდებულია გენდერული, ეთნიკური და ასაკობრივი ბალანსის დაცვა.

ფოკუს-ჯგუფები დაინტერესებულ მხარეებთან თვითშეფასების პროცესის შემადგენელი კომპონენტია და ტარდება შემდეგი მეთოდოლოგიით:

- „H ინსტრუმენტი“, რომლის საშუალებითაც, მონაწილეები 10 ბალიანი სისტემით აფასებენ საკუთარ მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული პროცესს/ხარისხს (0-2.4 ქულა- არასრული ინფორმირება; 2.5-4.9 ქულა ინფორმირების დონე; 5-7.4 ქულა კონსულტირების დონე; 7.5-10 ქულა თანამშრომლობის/პარტნიორობის დონე);
- ჯგუფური დისკუსია, სადაც მონაწილეები განსაზღვრავენ ამ კუთხით არსებული დადებით ფაქტორებსა და გამოწვევებს;
- სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც 4-ბალიან სკალაზე აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების ეფექტურობას და მოქალაქეთა ჩართულობას სხვადასხვა სფეროში.

მიმდინარე შეფასების დროს ფოკუს-ჯგუფებისთვის მონაწილეების შერჩევისთვის ბათუმის მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ღონისძიების ანონსი გაავრცელა ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. ამასთანავე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის გამოყენებული იყო ინდივიდუალური მოწვევაც. მუნიციპალიტეტში

ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი, რომელსაც დაესწრო 16 დაინტერესებული მხარე, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების/სათემო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლები, აქტივისტები/აქტიური მოქალაქეები და სათათბირო საბჭოს წევრები.

რადგან ინიციატივას აქვს საპილოტე ხასიათი, დაინტერესებულ მხარეებთან ფოკუს-ჯგუფები ჩატარა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა მხარეებთან მონაწილეობითი პროცესების მათი პერსპექტივიდან დანახვისა და სიღრმისეული ინფორმაციის მიღების მიზნით.

თვითშეფასების პროცესი (როგორც ელ. კითხვარის შევსება, ისე ფოკუს-ჯგუფების ჩატარება) 2023 წლის აგვისტოდან 2024 წლის მარტამდე პერიოდში განხორციელდა.


### 1.3 შეფასების შეზღუდვები

- შეფასების მეთოდოლოგია დაფუძნებულია თვითშეფასებაზე, რაც გულისხმობს რომ მუნიციპალიტეტები თავად განსაზღვრავენ და აფასებენ საკუთარ საქმიანობას მონაწილეობის კუთხით, რაც გარკვეულწილად ქმნის საფრთხეს, რომ მიღებულ მონაცემებში სუბიექტურობის ხარისხი მაღალია. ეს განსაკუთრებით ეხება შეფასებით კითხვებს, რადგან ფაქტობრივი კითხვები გამყარებულია ვერიფიკაციის წყაროების მითითებით, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტებს, რომ მტკიცებულებებზე დაფუძნებით განახორციელონ თვითშეფასების პროცესი და მათი სუბიექტურობის ხარისხი შემცირდეს.
- გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მექანიზმის მიზანია მუნიციპალიტეტმა დაწეროს თვითშეფასების პროცესი საკუთარ საქმიანობაში და თავად გაიაზროს არსებული გამოწვევები, ქულას მუნიციპალიტეტი იღებს თვითშეფასების საფუძველზე. ფოკუს-ჯგუფის შეფასება და დამატებითი ინფორმაცია ვერიფიკაციის წყაროების საშუალებით მის შეფასების ქულაზე არ აისახება, თუმცა ანგარიშში აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია დეტალურად არის ჩაშლილი.
- ვერიფიკაციის წყაროებზე დაყრდნობით შეფასება მხოლოდ ძირითადი ტენდენციის მაჩვენებელია და არ ასახავს ზუსტ სურათს, რადგან შესაძლოა მუნიციპალიტეტი ახორციელებდეს გარკვეულ აქტივობებს, თუმცა მონაცემთა დამუშავებისა და შესაბამისი ანალიზის პრაქტიკის ნაკლებობის გამო, ვერ მოხერხდეს ვერიფიკაციის წყაროების წარმოდგენა.
- თვითშეფასების მასშტაბი შეზღუდულია, რაც ნაკლებად იძლევა ექსტრაპოლირების და ზოგადად, ქვეყანაში არსებულ ტენდენციებზე საუბრის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ინსტრუმენტი მიმართულია საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენაზე, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებასა და ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის

გაღრმავებაზე, რაც შესაძლებელია იყოს მოტივაციის მიმცემი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

- მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს-ჯგუფებზე აქტორები სხვადასხვა სექტორიდან არიან წარმოდგენილნი, ამ პროცესში მიღებული შეფასებები მხოლოდ გარკვეული ტენდენციის მაჩვენებლად შეიძლება განვიხილოთ და არა მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობის მოსაზრების გამომხატველად.
- გამომდინარე თვითშეფასებიდან, მიუხედავად მეთოდოლოგიურად ფოკუს-ჯგუფის შესახებ ინფორმაციის ღიად გავრცელებისა, საბოლოოდ მუნიციპალიტეტი თავად აკომპლექტებს მონაწილეებს, რაც ზრდის ტენდენციურობის საფრთხეს ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა შერჩევის პროცესში.
- მნიშვნელოვანია ფოკუს-ჯგუფის ფასილიტატორის სწორად შერჩევა, რადგან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ მოდერაციის შემთხვევაში იზრდება რისკი, ჯგუფის მონაწილეებმა ღიად არ გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები.
- მოცემული კითხვარი არის ელექტრონული და მისი შევსების შემდეგ მომხმარებელი ავტომატურად იღებს შეფასებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ინსტრუმენტში დანერგილი პრაქტიკების შესახებ ვრცლად საუბარი შეზღუდულია. თუმცა ღია კითხვები და ზოგადი კომენტარის საშუალება, ნაწილობრივ ტოვებს სივრცეს ამგვარი ინფორმაციის გაზიარებისთვისაც.
- შეფასებაში ძირითადად გამოყენებულია მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც უშუალოდ თვითშეფასების კითხვარის და ფოკუს ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლინდა. დამატებით, ინფორმაციის გადამოწმება სხვა საშუალებებით შეფასების მიზანს არ წარმოადგენდა, თუმცა რიგ შემთხვევებში ინფორმაციის მოძიება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ გვერდისა და ფეისბუქ გვერდის საშუალებით განხორციელდა.

## თავი 2. ძირითადი მიგნებები



*ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით* შეფასებით მუნიციპალიტეტმა 2.01 ქულა დააგროვა, რაც გულისხმობს, რომ იგი ინფორმირების დონეზე იმყოფება. **ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა** ბათუმის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი პროცესები 10 ბალიან სისტემაში 4,2 ქულით (4,4 და 4) შეაფასეს. აღნიშნული ქულაც ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი ინფორმირების დონეზე იმყოფება და მონაწილეობითი პროცესები, ძირითადად შემოიფარგლება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებით, ერთობლივი მსჯელობის პრაქტიკა კი სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად ნაკლებად არის დამკვიდრებული.

*თვითშეფასების კითხვარის მიხედვით* მუნიციპალიტეტმა 2,95 ქულა მიიღო. აღნიშნული ქულა ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტი საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას დიდწილად იზიარებს საყოველთაოდ აღიარებულ ღირებულებებსა და სტანდარტებს, რაც გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის ხარისხი საკმაოდ მაღალია და შეესაბამება კონსულტირების დონეს. მუნიციპალიტეტი არის ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე და მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობას, პოლიტიკის ციკლის თითქმის ყველა ეტაპზე.

სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური მექანიზმის გამოყენებით, მუნიციპალიტეტი ხშირად ახალისებს მოქალაქეთა მონაწილეობას და რიგ შემთხვევებში, ინტერესდება მონაწილეობითი პროცესების შესახებ, მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხით.

მიღებული შედეგებიდან იკვეთება თანხვედრა ვერიფიკაციის წყაროებით შეფასებასა და ფოკუს-ჯგუფის შეფასებას შორის, თუმცა განსხვავებული შეხედულებები აქვს მუნიციპალიტეტს - მონაწილეობით პროცესებს ადგილობრივი ხელისუფლება უფრო დადებითად აფასებს, ვიდრე დაინტერესებული მხარეები ან ვერიფიკაციის წყაროებით შეფასება.

**ბლოკი II: მონაწილეობის მნიშვნელობა**

მონაწილეობის მნიშვნელობის ბლოკი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების გამოვლენაზე. ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით, ბათუმის მუნიციპალიტეტმა 4-დან 2.95 ქულა, ხოლო თვითშეფასების მიხედვით 3.18 ქულა მიიღო.

*ცხრილი N3 მონაწილეობის მნიშვნელობა*

	ბლოკის ქულა	დამოკიდებულება	წახალისება	შედეგის აღწერა
შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით	2.95/4	2.2/2.8	0.75/1.2	მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესების მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულია. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტი უმეტესწილად მიზანშეწონილად მიიჩნევს არამხოლოდ ექსპერტულ დახმარებას, არამედ რიგ შემთხვევებში, ახალისებს მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესებს სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.
თვითშეფასება	3.18/4	2.2/2.8	0.98/1.2	

თვითშეფასების კითხვარში აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მონაწილეობის წამახალისებელი პროგრამები არსებობს, კერძოდ ეს ძირითადად შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებს.

ამასთანავე, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი მონაწილეობის მხარდამჭერ პროგრამებთან ერთად არსებობს საჯარო მოხელეებისთვის შიდა წახალისების მექანიზმი შესაბამისი პროცესების აქტიური ხელშეწყობისთვის. აღნიშნული ვერიფიკაციის წყაროებით არ დასტურდება. მოცემული ბლოკის თვითშეფასების დეტალური პასუხები მოცემულია დანართში N2.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით მუნიციპალიტეტი არ არის ღია მონაწილეობით პროცესებისთვის, რაც მოქალაქეთა ნიჰილისტური დამოკიდებულებების გაღრმავების მაპროვოცირებელია. დაინტერესებული მხარეების მიერ კრიტიკული მოსაზრებების დაფიქსირება და საკითხების დაყენება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მხრიდან აღიქმება, როგორც ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის დაკვეთა. ამგვარი პარტიული

იარლიყების მიწებება, ფოკუს-ჯგუფზე დამსწრეთა მოსაზრებით, ნეგატიურად მოქმედებს მოქალაქეებზე და ამის გამო ხშირად ადამიანები თავს არიდებენ თავის მოსაზრებების ღიად და საჯაროდ გამოხატვას. იგივე ვრცელდება სოციალურ ქსელში კრიტიკული კომენტარების ავტორებზე.

დამოკიდებულების კუთხით, ფოკუს-ჯგუფზე აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში, მერია განსაკუთრებით ჩაიკეტა სამოქალაქო სექტორისადმი, თუმცა ეს არ ვრცელდება დიდი მასშტაბის დონორ ორგანიზაციებზე.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, მუნიციპალიტეტის მხრიდან მოქალაქეთა წახალისება, რომ მონაწილეობა მიიღონ მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ხდება. მით უფრო არ იჩენს ძალისხმევას მუნიციპალიტეტი არააქტიური მოქალაქეების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაზე.

**ბლოკი III: მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო**

მარეგულირებელი ჩარჩოს ბლოკში, ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით მუნიციპალიტეტის შეფასება 1.68 ქულას შეადგენს 4 ქულიდან, თვითშეფასების კითხვარის საშუალებით კი 2.45 ქულა დაფიქსირდა.

*ცხრილი N4 მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო*

	ბლოკის ქულა	სტრატეგია/ ხედვა	ყოველწლიური ანგარიში	სახელმძღვანელო	სამუშაო აღწერილობა	ბიუჯეტი	საკრებულოს მიერ ზედამხედველობა
შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით	1.68/4	0.15/0.6	0.15/0.6	0.15/0.6	0.15/0.6	0.68/0.8	0.4/0.8
თვითშეფასება	2.45/4	0.15 /0.6	0.6/0.6	0.15 /0.6	0.15 /0.6	0.6/0.8	0.8/0.8
<p>მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ხედვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ. იგი არ ინტერესდება მოქალაქეთა მონაწილეობის პროცესისა და შედეგების შეფასებით. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი არ გამოყოფს ფინანსურ რესურსს მონაწილეობითი პროცესების უზრუნველსაყოფად.</p>				<p>მუნიციპალიტეტს არ გააჩნია კონკრეტული ხედვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ. მუნიციპალიტეტი აფასებს მოქალაქეთა მონაწილეობის მხოლოდ პროცესს და არ ინტერესდება შედეგებით. იგი უმეტესწილად პრიორიტეტულად არ მიიჩნევს ფინანსური რესურსის გამოყოფას მონაწილეობითი პროცესების უზრუნველსაყოფად.</p>			



მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პასუხებიდან იკვეთება, რომ ადგილობრივ დონეზე არ არის შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული ხედვის/სტრატეგიის დოკუმენტი, ასევე შესაბამისი პროცედურების ამსახველი ინსტრუქციები. შესაბამისად არ ხდება დოკუმენტის შესრულების მონიტორინგი და ზედამხედველობა.

რაც შეეხება მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, მისი ვერიფიცირება ვერ ხერხდება.

თვითშეფასების პროცესში აღინიშნა, რომ ბიუჯეტში პროგრამების/ქვეპროგრამების სახით გამოყოფილია თანხები შემდეგი (და არა მარტო) მიმართულებებით:

- გენდერული თანასწორობის საკითხები,
- ეთნიკური თანასწორობის საკითხები,
- შშმ პირთა ინკლუზიის საკითხები,
- სოციალურად დაუცველ პირთა საკითხები,
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები.

მონაწილეობითი პროცესების ზედამხედველობის შესაძლებლობებს საკრებულო ნაკლებად იყენებს, თუმცა დამკვიდრებულია საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოს წამომადგენლების დაბარებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე მონაწილეობითი პროცესების ანალიზის შესახებ ინფორმაციის მოსმენის პრაქტიკა. მოცემული ბლოკის თვითშეფასების დეტალური პასუხები იხილეთ დანართში N3.

ფოკუს-ჯგუფზე დამსწრე ადამიანების მოსაზრებით, ბათუმის მუნიციპალიტეტებში მონაწილეობითი პროცესები ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულია. პირად კონტაქტებს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრობლემის მოგვარებისას, ვიდრე სისტემურ მიდგომებს.

**ბლოკი IV: მონაწილეობის მექანიზმები**

მონაწილეობის მექანიზმის ბლოკი აფასებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო მექანიზმებსა და მათ ეფექტურობას. აღნიშნულ ბლოკში მუნიციპალიტეტმა ვერიფიკაციის წყაროებით შეფასებისას 1.76 ქულა მიიღო, ხოლო თვითშეფასებით 2.75 ქულა დაფიქსირდა.

*ცხრილი N5 მონაწილეობის ფორმალური მექანიზმები*

	ბლოკის ქულა	დასახლებების საერთო კრება	პეტიცია	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება	მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის ანგარიშის მოსმენა	ბიუჯეტის შემუშავება	გენდერული თანასწორობის საბჭო
შეფასება ვერიფიკაციის	1.76/4	0.15/0.6	0.25/0.6	0.27/ 0.6	0.30/ 0.6	0.21/ 0.4	0.29/0.6	0.30/ 0.6



წყაროების მიხედვით								
თვითშეფასება	2.75/4	0.15 /0.6	0.45/0.6	0.48/0.6	0.43/0.6	0.28/0.4	0.47/0.6	0.50/0.6
<p>მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას მოქალაქეთა მონაწილეობის მხოლოდ რამდენიმე ფორმალურ მექანიზმს იყენებს. იგი ნაკლებად ზრუნავს მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე და მექანიზმების გამოყენების პროცესში, რიგ შემთხვევებში, უზრუნველყოფს მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას. მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დიდწილად არ ასახავს მოქალაქეთა მოსაზრებებს და იშვიათად მიმართავს მიღებულ შედეგებზე უკუკავშირის პრაქტიკას.</p>					<p>მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული მექანიზმების უმრავლესობას. იგი მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, სხვადასხვა საშუალებით, ავრცელებს მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, უზრუნველყოფს მონაწილეთათვის თანასწორ გარემოს და აძლევს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მუნიციპალიტეტი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს მონაწილეთა წვლილს საბოლოო გადაწყვეტილებაში და ხშირად უზრუნველყოფს მიღებულ შედეგებზე უკუკავშირის ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.</p>			

აღსანიშნავია, რომ მონაწილეობის მექანიზმების ბლოკის ნაწილში, გარდა ბენჩმარკინგის მეთოდოლოგიით განხორციელებული შეფასებისა, აღწერილია ის კრიტერიუმებიც, რომლებიც [ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის \(lsgindex\)](#)<sup>3</sup> 2023 წლის შეფასებით გამოვლინდა.

**დასახლების საერთო კრება** - ვინაიდან ბათუმი წარმოადგენს თვითმმართველ ქალაქს, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული დასახლების საერთო კრების მექანიზმი არ მოქმედებს, ხოლო თავად მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული შესაბამისი საკუთარი მოდელი.

შესაბამისად თვითშეფასებისას აღინიშნა მონაწილეობის ამ ფორმის გამოყენება არ ხდება (იხ.დანართი N4.).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გაუგიათ აღნიშნული მონაწილეობითი ფორმის არსებობის შესახებ, თუმცა არ მიუღიათ პირადად მონაწილეობა და ვერც იხსენებენ შემთხვევას, რომ აღნიშნული ფორმით მოქალაქეებს მოეხდინათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.

**პეტიცია** - მუნიციპალიტეტში აღნიშნული მექანიზმი არ არის აქტიური. მიუხედავად იმისა, დაწესებულია (რეგისტრირებულ მოქალაქეთა 0.5%-მდე) წარსადგენი ხელმოწერების ოდენობა და არსებობს პეტიციის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ ორი პეტიცია იქნა წარდგენილი. აღნიშნული ინფორმაციის ვერიფიცირება ვერ ხერხდება.

<sup>3</sup> ინდექსი შემუშავებულია კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს მხარდაჭერით. სამ წელიწადში ერთხელ, პარტნიორ რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად ყველა თვითმმართველი ორგანოს გამჭირვალობა, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები და პრაქტიკები ერთიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მეშვეობით ფასდება, მზადდება და ქვეყნდება მუნიციპალიტეტების რეიტინგი და ეროვნული ანგარიში.

პეტიციის მექანიზმის შესახებ შემდეგ ინფორმაციას იძლევა [ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის \(lsgindex\)-ის შეფასება](#):

ცხრილი N6 პეტიციის მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით

N	კრიტერიუმი	შეფასება
2.1.4	ინფორმაცია დარეგისტრირებული პეტიციის შესახებ	18%
2.2.2	ონლაინ პეტიციის საშუალება	100%
3.1.11	პეტიციების განხილვის პროცედურების დაცვა	100% <sup>4</sup>

თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N5.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით, პეტიციის ელექტრონული ფორმით წარდგენის შესაძლებლობამ, მნიშვნელოვნად გაამარტივა რეგისტრაციის პროცედურა. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული მექანიზმი ეფექტურად არ/ვერ ხორციელდება შემდეგი მიზეზების გამო: (1) მოქალაქეებს არ აქვთ ინფორმაცია პეტიციის მექანიზმის შესახებ; (2) აქვთ ინფორმაცია მაგრამ არაპოპულარულად მიაჩნიათ; (3) განხილვის პროცესების ბუნდოვანება და ვადების დარღვევა არამიმზიდველს ხდის აღნიშნულ მექანიზმის.

როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, პეტიციის მექანიზმს ძირითადად საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიმართავენ. რიგითი მოქალაქის მხრიდან ნაკლებად ხდება მისი გამოყენება.

**სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო** - თვითშეფასების მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია საჭოს საქმიანობის შესახებ (სხდომის გამართვის თარიღი, დღის წესრიგი, განსახილველი საკითხები) ღიაა და ვრცელდება მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდისა და პირისპირ შეხვედრების საშუალებით.

როგორც კითხვარში აღნიშნულია, მრჩეველთა საბჭომ შეფასების პერიოდში 39 რეკომენდაცია წარადგინა (ყველა 2022 წელს), მათი ინიცირება მოხდა მერის (9), საბჭოს წევრების (18) და მოქალაქეების (12) მიერ. ამ რეკომენდაციებიდან 28 გათვალისწინებული იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია საბჭოს საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, ზემოაღნიშნული ინფორმაციის ვერიფიკაციის წყაროები არ არის მოცემული. მექანიზმის თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N6.

[ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის \(lsgindex\)-ის შეფასების](#) თანახმად ჩანს::

ცხრილი N7 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით

N	კრიტერიუმი	შეფასება
1.11.2	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები	100%
2.1.3	ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ	100%

<sup>4</sup> მეთოდოლოგია ადგენს ობიექტურად მიზანშეწონილია/შესაძლებელია თუ არა კონკრეტული კრიტერიუმის შეფასება და, აქედან გამომდინარე, მიიღებს თუ არა ეს კრიტერიუმი მონაწილეობას მუნიციპალიტეტის (მერიის, საკრებულოს) შეფასებაში. შესაბამისად - იწერება კონკრეტული კრიტერიუმის შეფასების მიზანშეუწონლობის/შეუძლებლობის შემთხვევაში.

3.1.4	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილი რეკომენდაციების/ინიციატივების რაოდენობა	100%
3.1.5	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთვის მერის მიერ განსახილველად სავალდებულო საკითხების/დოკუმენტების წარდგენა	100%
3.1.6	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა	60%
3.1.7	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინფორმაციული მხარდაჭერა	100%

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, ამჟამად მოქმედ საბჭოში არაკრიტიკულად განწყობილი წევრები (საჯარო მოხელეები) რაოდენობრივად აღემატებიან კრიტიკული აზრის მქონე წევრებს, საბჭოს დაკომპლექტება ხდება ლოიალობის საფუძველზე, რის გამოც საბჭოს არ გააჩნია ნდობა საზოგადოების მხრიდან.

ფოკუს-ჯგუფის შეფასებით, საბჭოს რეკომენდაციები ფორმალური მექანიზმია და მერი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ რჩევების მისაღებად არ მიმართავს მას. ხშირად ირღვევა საბჭოსათვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის ვადები (მაგალითად, ბიუჯეტის პროექტის).

**საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება** - თვითშეფასების თანახმად, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებაში კანონზომიერება არ შეინიშნება (2020 წელი - 29 პირი, 2021 წელი - 9 პირი, 2022 წელი - 19 პირი). მუნიციპალიტეტი სხდომების შესახებ სრული ინფორმაცია წინასწარ ვრცელდება სოციალური ქსელების საშუალებით. სხდომებზე განიხილება დაინტერესებული მხარეების ინიციატივები/რეკომენდაციები და გადაწყვეტილებები ოქმებში აისახება. აღნიშნული ინფორმაციის ვერიფიცირება ვერ მოხერხდა. თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N7.

[ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის \(lsgindex\)-ის შეფასებით](#) შემდეგი შედეგი ფიქსირდება:

*ცხრილი N8 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით*

N	კრიტერიუმი	შეფასება
2.1.1	ინფორმაცია საკრებულოს/თბილისის მთავრობის და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ	100%
2.2.8.	საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება (Livestream)	100%
3.1.2.	საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა	60%
3.1.3	საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა	30%

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებით, საკრებულოს სხდომის თარიღთან და განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სათანადოდ არ ხდება ინფორმაციის გავრცელება. როგორც მონაწილეებმა აღინიშნეს, საკრებულოს სხდომათა დარბაზში მოქალაქეთა დასწრებისთვის განსაზღვრული დასასხდომი სკამების რაოდენობა შემცირდა, რაც

ერთგვარად მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების მაჩვენებლია მონაწილეობითი პროცესებისადმი.

*მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა* - მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრების მიერ ანგარიშების წარდგენაზე მოქალაქეთა დასწრების აღრიცხვა არ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების მიზეზით ხდება ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ხდება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის დასწრება და გამართულია მონაწილეობის მექანიზმი, არსებული მონაცემების ვერიფიკაციის წყაროები მითითებული არ არის. ამავე დროს საკრებულოს წევრების აბსოლუტური უმრავლესობის ანგარიშები გაწეული საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია მუნიციპალურ საინფორმაციო საშუალებებზე.

თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N8.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (lsgindex)-ის შეფასებითაც იგივე მონაცემები გამოიკვეთა:

*ცხრილი N9 მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით*

N	კრიტერიუმი	შეფასება
3.2.2	მერის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა	0%
3.2.3	საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშების მოსმენა	0%

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების აზრით, მუნიციპალიტეტი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების წარდგენას და რეკომენდაციების მოსმენას, თუმცა ეს მექანიზმიც ფასადურად ხორციელდება, რადგან ამგვარ შეხვედრებზე წარდგენილი რეკომენდაციების რეალურად ასახვა არ ხდება.

*მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება* - როგორც თვითშეფასების კითხვარიდან იკვეთება, ბათუმის მუნიციპალიტეტში:

- ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ბოლო სამი წლის განმავლობაში ყოველწლიურად იმართებოდა 14 საჯარო კონსულტაცია (საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავება და ბიუჯეტი პროექტის განხილვა),
- 2022 წელს კრებებს 2100 პირი დაესწრო,
- მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მერი ბრძანებით განსაზღვრავს მონაწილეობის კონკრეტულ გეგმასა და პასუხისმგებელი პირებს.

აღნიშნული ინფორმაციის ვერიფიცირება ვერ მოხერხდა. თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N9.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები, ბიუჯეტის პროექტი, დამტკიცებული ბიუჯეტი და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონულად ასევე არაელექტრონულად და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ უკუკავშირის დატოვება.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ [ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი \(lsgindex\)](#) შემდეგნაირად აფასებს:

ცხრილი N10 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხელმისაწვდომობის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით

N	კრიტერიუმი	შეფასება
1.7.1	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველადი (15 ნოემბრამდე წარსადგენი) პროექტი	90%
1.7.2	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტების შესახებ	100%
1.7.3	ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ	100%

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მხრიდან დაფიქსირდა, რომ ბიუჯეტის შემუშავებაში ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები არიან ჩართულნი. მოსახლეობის დიდ ნაწილს ერთი მხრივ, არ აქვს აღნიშნული მექანიზმის შესახებ ინფორმაცია, მეორე მხრივ კი დარწმუნებულნი არიან გავლენას ვერ მოახდენენ შედეგებზე.

ამასთანავე, მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბიუჯეტის შემუშავების პროცესში არსებობს მოქალაქეთა ჯგუფების გარკვეული ჩართულობა, თუმცა არ არის შემუშავებული ეფექტური მექანიზმი ამგვარ ფოკუს-ჯგუფებზე მოქალაქეთა სწორი შერჩევით. ამიტომ, ხშირად ბიუჯეტის დოკუმენტის განხილვა ფორმალურ ხასიათს იძენს. ამიტომ მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სექტორიდან კვალიფიციური ადამიანების ჩართვაც ამ პროცესში.

**გენდერული თანასწორობის საბჭო - გენდერული თანასწორობის საბჭო-** ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოს საქმიანობა ეფექტურად შეფასდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მიერ. აღინიშნა, რომ მას აქვს სამოქმედო გეგმა და 2022 წელს 4 რეკომენდაცია შეიმუშავა, რომელთაგან ყველა იქნა გათვალისწინებული, თუმცა ბოლო ინფორმაციის ვერიფიკაცია ვერ მოხერხდა.

გენდერული საბჭოს საქმიანობა [ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის \(lsgindex\)](#) საშუალებით შემდეგნაირად შეფასდა:

ცხრილი N11 გენდერული თანასწორობის საბჭოს შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით

N	კრიტერიუმი	შეფასება
3.1.17	გენდერული თანასწორობის საბჭო	30%

აღნიშნული ბლოკის თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N10.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთერთი წევრის განცხადებით, მომზადდა გარკვეული ინიციატივები, თუმცა ფინანსური სახსრების არ არსებობა მნიშვნელოვნად უშლის ხელს რეალური აქტივობების განხორციელებას.

**ბლოკი V: დამატებითი მექანიზმები**



აღნიშნულ ბლოკში მუნიციპალიტეტმა ვერიფიკაციის წყაროებით შეფასებით 1.91 ქულა, ხოლო თვითშეფასებით 3.00 ქულა მიიღო.

*ცხრილი N12 მონაწილეობის დამატებითი მექანიზმები*

	ბლოკის ქულა	მონაწილეობითი ბიუჯეტის/სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა	ახალგაზრდული საბჭო	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო	ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა (OGP)	ინოვაციური მექანიზმები
<b>შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით</b>	<b>1.91/4</b>	0.53/ 0.8	0.44/ 0.8	0.29/ 0.8	0.32/ 0.8	0.33/ 0.8
<b>თვითშეფასება</b>	<b>3.00/ 4</b>	0.71 / 0.8	0.71/ 0.8	0.59/ 0.8	0.40/ 0.8	0.58/ 0.8
მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იშვიათად მიმართავს თვითმმართველობის კოდექსის მიღმა არსებულ მონაწილეობის მექანიზმებს, მათ შორის სათათბირო საბჭოებს. იგი, რიგ შემთხვევებში უზრუნველყოფს მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობას დამატებითი მექანიზმების საშუალებით, თუმცა მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დიდწილად არ ასახავს მოქალაქეთა მოსაზრებებს და მიღებულ რეკომენდაციებს.				მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას იყენებს თვითმმართველობის კოდექსის მიღმა არსებულ მონაწილეობის მექანიზმებს პოლიტიკის ციკლის ძირითად ეტაპებზე. მუნიციპალიტეტი მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს დამატებითი მექანიზმების საშუალებით მიღებულ მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს. ამასთანავე, ხშირად უზრუნველყოფს მიღებულ შედეგებზე უკუკავშირის დაინტერესებულ მხარეებთან.		

**მონაწილეობითი ბიუჯეტის/სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა** - ბათუმის მუნიციპალიტეტმა აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად 2020 წელს - 500 ათ. ლარი, ხოლო 2021 და 2022 წლებში, ყოველწლიურად 1000 ათ ლარი გამოყო. 2020-2022 წლებში მხარდაჭერილი იქნა 12 პროექტი.

არსებობს შესაბამისი დადგენილება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის შესახებ; აგრეთვე საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. პროექტის წარდგენა შეუძლია ბათუმში რეგისტრირებულ პირებს და საინიციატივო ჯგუფებს. გამარჯვებულ პროექტებს ავლენს სპეციალურად შექმნილი საბჭო მოქალაქეთა კენჭისყრის შედეგების მიხედვით. პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია მეტნაკლებად სრულყოფილდაა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მიერ.

პროექტების განხორციელების მონიტორინგის და პროგრამის შეფასების შესახებ ინფორმაციის ვერიფიკაცია ვერ მოხერხდა. თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N11.

როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, იდეების კონკურსის ფორმატმა უზრუნველყო, რომ შედარებით მეტი მოქალაქე ჩართულიყო პროცესში. აქ გამოწვევად ბიუჯეტის სიმცირე და მიმართულებების მიხედვით რესურსების არათანაბარი გადანაწილება დასახელდა.

**ახალგაზრდული საბჭო** - თვითშეფასების კითხვარის საშუალებით მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდული საბჭოს მექანიზმი ეფექტურად შეაფასა. ბოლო სამი წლის განმავლობაში ახალგაზრდული საბჭოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი იქნა 5 რეკომენდაცია (მ.შ. 2022 წელს - 4), რომელთაგან 2 მუნიციპალიტეტის მიერ იქნა გათვალისწინებული.

ამავე დროს, ვერ მოხერხდა ინფორმაციის ვერიფიკაცია: თუ რა ოდენობის თანხებია ასახული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ახალგაზრდული საბჭოს აქტივობებისთვის, ახალგაზრდული საბჭოს მიერ რა სახის რეკომენდაციებია წარდგენილი მუნიციპალიტეტისათვის და როგორ რთავს ახალგაზრდული საბჭო მოქალაქეებს/სხვა ახალგაზრდებს საკუთარ საქმიანობაში.

დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N12.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (lsgindex) მიხედვით ახალგაზრდების მონაწილეობასთან მიმართებაში, რომელიც ასევე საკონსულტაციო მექანიზმს მოიცავს, დაფიქსირდა შემდეგი:

*ცხრილი N13 ახალგაზრდების ჩართულობის საკონსულტაციო მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით*

N	კრიტერიუმი	შეფასება
3.1.20	მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობა	60%

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო** - მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომელიც მუნიციპალიტეტის თვითშეფასების მიხედვით ეფექტურად ფუნქციონირებს. აღინიშნა, რომ საბჭოს აქვს დებულება და სამოქმედო გეგმა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები საბჭოს აქტივობებისთვის, საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ ხელმისაწვდომია, თუმცა, ვერიფიკაციის წყაროების ანალიზისას შესაბამისი დოკუმენტების დიდი ნაწილის მოძიება ვერ მოხერხდა. საანგარიშო პერიოდში საბჭოს არ წარმოუდგენია არც ერთი რეკომენდაცია

თვითშეფასების პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N13.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის (lsgindex) მიხედვით შშმ პირთა მონაწილეობასთან მიმართებაში, რომელიც საკონსულტაციო მექანიზმს მოიცავს, შემდეგი შედეგი დაფიქსირდა:

*ცხრილი N14 შშმ პირთა ჩართულობის საკონსულტაციო მექანიზმის შეფასება LSG ინდექსის კრიტერიუმების მიხედვით*

N	კრიტერიუმი	შეფასება
3.1.18	მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის მექანიზმები	30%



ფოკუს-ჯგუფის მონაწილე, საბჭოს წევრის ინფორმაციით, ეს მექანიზმი შედარებით ახალი შექმნილია. აღინიშნა, რომ არ ხდება დროულად საბჭოს სხდომის დაანონსება, დღის წესრიგის განსაზღვრა და წევრების სხდომის გამართვისა და განსახილველი საკითხების შესახებ დროული ინფორმირება. ასევე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა საბჭოს დაკომპლექტების პროცესი - წევრების შერჩევა ლოიალობის მიხედვით.

**ღია მმართველობის პარტნიორობის პროგრამა (OGP)** – ბათუმის მუნიციპალიტეტს OGP-ის 2018-2019, 2019-2020 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აღებული და შესრულებული აქვს ორი ვალდებულება (მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმის დანერგვა, ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება). საანგარიშო პერიოდისათვის ამ ვალდებულებების განხორციელება დასრულებულია. თვითშეფასების მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N14.<sup>5</sup>

**ინოვაციური მექანიზმები** - თვითშეფასების კითხვარში გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტი გარდა ინფორმაციის გავრცელების სტანდარტული გზებისა (სოციალური ქსელი, ვებგვერდი და ა.შ.) იყენებს ისეთ დამატებით მექანიზმებს მოქალაქეთა ინფორმირებისთვის, როგორცაა: საინფორმაციო დაფები, სერვის ცენტრები, ბუკლეტები.

მოქალაქეებისგან იდეების/ინიციატივების მისაღებად არსებობს პროგრამა "შენი იდეა ბათუმს"

ინფორმაცია, თუ არნიშნული მექანიზმების გამოყენებით რამდენი იდეა/ინიციატივა განხორციელდა მუნიციპალიტეტში, არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროებით.

თვითშეფასების მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N15.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა მიერ დამატებით მექანიზმებად დასახელდა სერვისცენტრები, რომელიც მოქალაქეებს ჩართულობის შესაძლებლობას აძლევს. ასევე დასახელდა კიდევ ერთი მექანიზმი დასახლეს - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების შეხვედრები, თუმცა ეს შეფასდა, როგორც სიმბოლური აქტი, რადგან რეალურად ამგვარ შეხვედრებზე ადგილობრივი მოქალაქეების რეალური საჭიროებების მოსმენა ვერ ხდება.

**ბლოკი VI: მონაწილეობის დონეები**

ბათუმის მუნიციპალიტეტში მონაწილეობის ხარისხის ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით შეფასება 1.84 ქულაა 4 ქულიდან, ხოლო თვითშეფასების მიხედვით კი 3.36 ქულა.

*ცხრილი N15 მონაწილეობის დონეები*

ბლოკის ქულა	ინფორმირება	კონსულტირება	პარტნიორობა/თანამშრომლობა	შედეგის აღწერა
-------------	-------------	--------------	---------------------------	----------------

<sup>5</sup> OGP-ში მუნიციპალიტეტის მონაწილეობის შესახებ, ასევე იხილეთ: <https://ogp.gov.ge/monitorings/53c80e5d-9bc0-472d-a3a4-0cf43d9e77b6/>; <https://ogp.gov.ge/monitorings/28e4cc5b-99de-48a7-a2af-5ef4f9188513/>

შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით	1.84/4	0.56/0.8	0.60/1.4	0.68/1.8	მუნიციპალიტეტი პოლიტიკის ციკლის თითოეულ ეტაპზე მიმართავს მხოლოდ ცალმხრივ კომუნიკაციას - აქტიურად უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას მიღებული გადაწყვეტილებების, დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობის შესახებ, თუმცა არ რთავს მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იგი ინფორმირებისას იყენებს მარტივ და გასაგებ ენას, როგორც ელექტრონულ, ისე სხვა საშუალებებს და კომუნიკაციისას ითვალისწინებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის საჭიროებებს.
თვითშეფასება	3.36/4	0.64/0.8	1.30/1.4	1.43/1.8	მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და გადაწყვეტილებები, ძირითადად, კონსენსუსის გზით მიიღწევა. თანამშრომლობის პროცესი უზრუნველყოფილია პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე. ერთობლივი გადაწყვეტილების განხორციელების პროცესისა და მიღებული შედეგების შესახებ, მიმდინარეობს აქტიური ორმხრივი კომუნიკაცია ყველა დაინტერესებულ მხარესთან

თვითშეფასების მიხედვით, ბათუმის მუნიციპალიტეტი ინფორმირების მიზნით იყენებს: მედიას, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს, ელექტრონულ ფოსტას, განცხადებების დაფას, პირისპირ შეხვედრებს. გარდა ამისა, მოსახლეობას ინფორმაციას აწვდის მედია სიუჟეტების და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

ჩამოთვლილი მექანიზმები წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზეც, თუმცა აღნიშნული მონაცემები არ არის სრულად გამყარებული ვერიფიკაციის წყაროებით.

მუნიციპალიტეტს არ აქვს ნათლად ჩამოყალიბებული კომუნიკაციის სტრატეგია (ან მსგავსი ტიპის ინსტრუქცია), რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებთან კომუნიკაციის საშუალებებს და ფორმებს. თუმცა, რაც შეეხება კონსულტირებისა და პარტნიორობის დონეებს, მუნიციპალიტეტი თანამშრომლობს საზოგადოებრივი საბჭოების და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებთან. ამავე დროს ეს მონაცემებიც არ არის გამყარებული ვერიფიკაციის წყაროებით.

მოცემული ქვებლოკის თვითშეფასების პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N16-ში.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით, მოსახლეობის ნაწილი არის აქტიური და მონაწილეობით პროცესებში ძირითადად ერთი და იგივე ადამიანები მონაწილეობენ. ამავე დროს, გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა ინდივიდებს ნაკლებად შეუძლიათ და

ამგვარი შესაძლებლობები უფრო საზოგადოებრივ გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს ეძლევათ.

ფოკუს-ჯგუფზე გამოვლინდა, მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი პროცესები გარკვეულწილად დანერგილია, რაშიც სამოქალაქო სექტორის წვლილიცაა. თუმცა მონაწილეებს გაუჭირდათ გაეხსენებინათ ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივა, თანამონაწილეობით გადაეჭრათ კონკრეტული პრობლემა. მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ ინიცირებული „ონლაინ“ გამოკითხვები ავტობუსის ფერთან, ქუჩის ფილაქანთან, ნაძვის ხის დიზაინთან და ა. შ. დაკავშირებით, ვერ უზრუნველყოფს და არც განიხილება მოქალაქეთა რეალურ მონაწილეობად.

ამის პარალელურად, მონაწილეებმა გაიხსენეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებმა შეძლეს საბოლოო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, მაგალითად რესტორანი „რვაფეხა“ და ბათუმის ბულვარი.

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელებას, ხშირად ადამიანები პირდაპირი კონტაქტების საშუალებით იღებენ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტი ინფორმაციის გავრცელების ძირითად წყაროდ ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელს იყენებს, თუმცა აღნიშნული გვერდები არ სარგებლობს პოპულარობით მოსახლეობაში:

საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულ გამოქვეყნების მიმართულებით მუნიციპალიტეტში დადებითი სტატისტიკაა სახეზე, თუმცა პრობლემად რჩება ვადების დაცვა და ის, რომ რიგ საკითხებზე მერია ინფორმაციას არ გასცემს.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა აზრით, გამოწვევები არსებობს მუნიციპალიტეტის მხრიდან უკუკავშირთან დაკავშირებით: არ ხდება მუნიციპალიტეტის მხრიდან თანამშრომლობით შეთავაზებებთან დაკავშირებით პასუხის დაბრუნება, სხვადასხვა იდეის ინიციატორთან სწორი კომუნიკაცია და სრული ინფორმაციის მიწოდება და აქაც პირად ნაცნობობაზე ბევრი რამ დამოკიდებული.

**ბლოკი VIII: შესაძლებლობების განვითარება**

შესაძლებლობების გაძლიერების ბლოკში მუნიციპალიტეტმა ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით 2.2 ქულა, ხოლო თვითშეფასების მიხედვით 3.2 ქულა დააგროვა.

*ცხრილი N16 შესაძლებლობების განვითარება*

	ბლოკის ქულა	თანამშრომლები	მოქალაქეები	შედეგის აღწერა
შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით	2.2/4	1.0/ 1.6	1.2/2.4	მუნიციპალიტეტისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია საჯარო მოხელეების კომპეტენციების გაზრდა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება მონაწილეობითი მიდგომების შესახებ. მუნიციპალიტეტი ნაკლებ ძალისხმევას უთმობს მოქალაქეებისთვის

				გამარტივებული ინსტრუქციების მომზადებას, თვითმმართველობის არსის, საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ.
თვითშეფასება	3.2/4	1.4/1.6	1.8/2.4	მუნიციპალიტეტი მეტნაკლებად ზრუნავს, როგორც საჯარო მოხელეების კომპეტენციების გაზრდაზე, ასევე მოქალაქეების ცნობიერების ამაღლებაზე მონაწილეობითი მიდგომების შესახებ. რიგ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტი მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს გამარტივებულ ინსტრუქციებს და საგანმანათლებლო რესურსებს, თვითმმართველობის არსის, საქმიანობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ, რამდენიმე საშუალების გამოყენებით.

თვითშეფასების მიხედვით ბათუმის მუნიციპალიტეტი ზრუნავს თანამშრომლების კომპეტენციის ამაღლებაზე მონაწილეობითი მიდგომების კუთხით. ზოგადად, მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის 2022 წელს 77000 ლარი იყო გამოყოფილი. ბოლო სამი წლის მანძილზე 361 საჯარო მოხელე გადამზადდა, რომელთა საჭიროებები ინტერვიუების, კითხვარების, ფოკუს ჯგუფებზე და მოხელეთა შეფასების შედეგების მეშვეობით გამოვლინდა. უშუალოდ მონაწილეობითი მიდგომებისა და მათი გამოყენების შესახებ ტრენინგი გაიარა 20 საჯარო მოხელემ.

თვითშეფასების კითხვარის თანახმად მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაზრდას მათი მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამ მიზნით გამოიყენება ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება, საჯარო შეხვედრები, მედია და სოციალური ქსელები

თუმცა აღნიშნული ინფორმაციის სრული ვერიფიცირება ვერ ხერხდება.

ბლოკის თვითშეფასების დეტალური პასუხები მოცემულია დანართში N18.

ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენლების მხრიდან აღინიშნა, მოსახლეობის მოტივაციის გასაზრდელად მნიშვნელოვანია მათი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ხარისხის გაზრდა. თუმცა, დამსწრეთა მოსაზრებით, მერიის წარმომადგენლების ინტერესებში არ შედის და არც უზრუნველყოფენ, რომ მოქალაქეებს მიაწოდონ ინფორმაცია მონაწილეობითი მექანიზმების შესახებ და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება ფორმალურად გაწერილი მექანიზმები შესახებ.

## ბლოკი IX: სერვისები

სერვისების ბლოკში მუნიციპალიტეტის შეფასება ვერიფიკაციის წყაროებით 1.72 ქულაა, ხოლო თვითშეფასების კითხვარის 2.47 ქულა დაფიქსირდა.

*ცხრილი N17 სერვისები*

	ბლოკი ს ქულა	შიდა ტრანსპ ორტი	გარე ვაჭრობა	ბიუჯეტის პროექტი	სივრცითი მოწყობა	უპატრონო ცხოველები
<b>შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით</b>	<b>1.72/ 4</b>	0.30/ 0.8	0.28/ 0.8	0.48/ 0.8	0.35/ 0.8	0.30/ 0.8
<b>თვითშეფასება</b>	<b>2.47/4</b>	0.42/0.8	0.30/0.8	0.68/0.8	0.70/0.8	0.37/0.8
მუნიციპალიტეტი მოცემულ სფეროებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე. ასევე, ნაკლებად უზრუნველყოფს მირითადი დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მის მიერ ფორმალური მექანიზმების გამოყენებას აქვს მხოლოდ სიმბოლური ხასიათი. შესაბამისად, მოქალაქეებს არ აქვთ თანამონაწილეობის განცდა.				მუნიციპალიტეტი მოცემულ სფეროებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს მოქალაქეთა მონაწილეობის გარეშე, თუმცა ძირითად დაინტერესებულ მხარეებს მუდმივად აწვდის ინფორმაციას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. ინფორმაციის გადაცემისთვის, იგი იყენებს მხოლოდ ფორმალურ მექანიზმებს. მოქალაქეებს ნაკლებად აქვთ თანამონაწილეობის განცდა და ინფორმირების პროცესი მიმდინარეობს პოლიტიკის ციკლის რამდენიმე დონეზე.		

თვითშეფასების კითხვარიდან გამოვლინდა, რომ მოსახლეობა შედარებით აქტიურად მონაწილეობს ბიუჯეტის განხილვისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში, თუმცა მათი ოდენობის და მონაწილეობის ხარისხის შეფასება არ ხდება. სხვა განხილულ სფეროებში მონაწილეობის ხარისხი დაბალია ან საერთოდ არ არსებობს. ასეთ საკითხების გადაწყვეტა (მაგალითად, შიდა ტრანსპორტი და გარე ვაჭრობა) ძირითადად ხორციელდება მოთხოვნის შესაბამისად. მოქალაქეთა მონაწილეობის ზუსტი ფორმა არ არის განსაზღვრული. დაინტერესებულ მხარეს, ყოველდღიურ რეჟიმში, პირისპირ ან განცხადების საფუძველზე, შესაძლებლობა აქვს შესაბამის სამსახურთან კონსულტაციის. წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაცია ვერ ხერხდება.

ამ ბლოკის თვითშეფასების დეტალური პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N 19.

წარმოდგენილი სერვისების შეფასება ფოკუს-ჯგუფის მიერ არ განხორციელებილა.

**ბლოკი VII: ზოგადი ტენდენციები**

აღნიშნულ ბლოკში ბათუმის მუნიციპალიტეტმა 3.2 ქულა მიიღო, რაც ნიშნავს, რომ მოქალაქეებს უმეტესად აქვთ ინტერესი და მოტივაცია წვლილი შეიტანონ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მუნიციპალიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს მოქალაქეთა მოსაზრებებს, ძირითადად მხოლოდ ფორმალური მექანიზმების საშუალებით. იგი ხშირად ინტერესდება მოქალაქეების მიერ მონაწილეობითი პროცესების შეფასებით და ამისათვის იყენებს რამდენიმე მეთოდს.

მუნიციპალიტეტის შეფასებით, მოსახლეობის მონაწილეობის ტენდენცია მზარდია და ეს განპირობებულია როგორც მოსახლეობის ცნობიერების ზრდით, ისე მუნიციპალიტეტის შესაბამისი აქტივობებით.

თვითშეფასების პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დანართში N 17.





თვითშეფასების მიხედვით, მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია და თვლის, რომ აქვს გამოცდილება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება.


რაც შეეხება, ფოკუს-ჯგუფს, მასზე კრიტიკულად შეფასდა ბათუმის მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი. ჯგუფის მონაწილეთა აზრით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია, რის მიზეზად, ერთი მხრივ დასახელდა მოქალაქეთა მოტივაციის არ არსებობა ჩაერთონ მიმდინარე პროცესებში, ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის სათანადო მზაობის არ არსებობა იმისთვის რომ უზრუნველყოს ეფექტური მონაწილეობა. მონაწილეთა უმრავლესობის მოსაზრებით მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით არსებული შედეგები მეტწილად საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევის შედეგია.

ფოკუს ჯგუფში სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით მონაწილეებმა შეაფასეს მონაწილეობისათვის მოქალაქეთა მოტივაცია და მუნიციპალიტეტის ძალისხმევა ამ მიმართულებით.

ორივე სემინტის შეფასებისას უფრო ნეგატიური შეფასება პრევალირებს.



ასევე უფრო უარყოფითად ფასდება მონაწილეობითი პროცესებით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხი მაშინ, როცა თვითშეფასების კითხვარში მოქალაქეთა კმაყოფილება მუნიციპალიტეტმა 4 ბალან სისტემაში 2 ქულით (მეტნაკლებად კმაყოფილები) შეაფასა.



რაც შეეხება მონაწილეობის მექანიზმებს, საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტში დანერგილი მონაწილეობის ფორმების შეფასებისას ყველაზე ეფექტურ საშუალებად საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა იქნა მიჩნეული.

*ცხრილი N18 მონაწილეობის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება*

მექანიზმის დასახელება	მუნიციპალიტეტის შეფასება	ფოკუს ჯგუფების შეფასება	
	1-ყველაზე ეფექტური 7- არაეფექტური	არაეფექტური	ეფექტური
დასახლების საერთო კრება	-		
პეტიცია	2	73.3%	26.7%
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	4	80%	20%
საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება	6	86.7%	13.3%
მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	3	86.7%	13.3%
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება	1	93.3%	6.7%
გენდერული თანასწორობის საბჭო	5	86.7%	13.3%
სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა	8		



## რეკომენდაციები

ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020-2022 წლების მოქალაქეთა მონაწილეობის თვითშეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

### *მონაწილეობითი პროცესების ჩარჩოს გაუმჯობესება:*

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს სისტემური მიდგომა და მონაწილეობითი პროცესების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინოს ისეთი საშუალებებით როგორცაა მონაწილეობითი პროცესების ხედვის/სტრატეგიის დოკუმენტისა და მონაწილეობითი პროცესების მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამის/ქვეპროგრამის შემუშავება;
- აუცილებელია მუნიციპალიტეტში დაინერგოს მონაწილეობითი პროცესების მონაცემთა დამუშავების, ანალიზისა და ანგარიშგების პრაქტიკა - საწყის ეტაპზე შეიქმნას ერთიანი სტატისტიკური ბაზის (რეესტრის) კონცეპტუალური ფორმატი და მომზადდეს შესაბამისი გაიდლაინი საჯარო მოხელეთათვის;
- საჭიროა მუნიციპალიტეტში შეიქმნას მონაწილეობითი პროცესების ხელშეწყობის ხედვა არა მხოლოდ პროგრამების დაგეგმვის, არამედ განხორციელების მონიტორინგისა და განხორციელებული აქტივობების შეფასების ეტაპებისათვის.

### *მონაწილეობის მექანიზმების გააქტიურება:*

- მნიშვნელოვანია, ფორმალური მექანიზმების გააქტიურება იმისათვის, რომ მოქალაქეთა საჭიროებები და მოსაზრებები ასახული იყოს პოლიტიკის შექმნის პროცესში (policy-making), ამასთანავე მიღებული შედეგებისა და კარგი პრაქტიკების შესახებ მოსახლეობის სათანადო ინფორმირება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში აქტიურად დაინერგოს საჯარო მოხელეთა ყოველწლიური ანგარიშგების წარმოებისა და მოქალაქეებთან წარდგენის პრაქტიკა;
- მნიშვნელოვანია სათათბირო საბჭოების მხარდაჭერა, მათი დაკომპლექტებისა და საქმიანობის (ოქმები, წლიური ანგარიშები) გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საბჭოების მიერ წლიური ანგარიშის წარმოების, მუნიციპალიტეტისთვის წარსაადგენად რეკომენდაციების შემუშავების და მათზე მუნიციპალიტეტის უკუკავშირის ვალდებულების პრაქტიკის დანერგვა.

### *ინფორმაციის გავრცელების/გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება:*

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში გაუმჯობესდეს საჯარო ინფორმაციის განთავსებისა და გაცემის ხარისხი;
- მნიშვნელოვანია სხვადასხვა საჯარო ხასიათის შეხვედრამდე (საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომები, სათათბირო საბჭოების შეხვედრები, ბიუჯეტის განხილვები, საჯარო კონსულტაციები და ა.შ) შესაბამისი ინფორმაციის შემცველი

ანონსის გავრცელება სათანადო დროით ადრე, რათა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ შეხვედრებზე დასწრება და საკუთარი მოსაზრებებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება;

#### **საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება:**

- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტს ჰქონდეს კომუნიკაციის სტრატეგია, რითაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მრავალფეროვნების გათვალისწინებასა და შესაბამისი წყაროების/ინსტრუმენტების გამოყენებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ჯგუფის (მათ შორის როგორც მოწყვლადი ჯგუფების, ისე სამოქალაქო საზოგადოების), ინფორმირების სათანადო ხარისხი და მუნიციპალიტეტის მხრიდან უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა, თუ რა გავლენა იქონია მათმა მოსაზრებებმა საბოლოო გადაწყვეტილებაზე და როგორ მიმდინარეობს აღსრულების პროცესი;
- მნიშვნელოვანია დაინერგოს კონკრეტული და სისტემატიზებული მექანიზმები მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის გასაზომად.

#### **მოსახლეობის მოტივირება/ცნობიერების ამაღლება:**

- აუცილებელია მოქალაქეთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების გაზრდა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ, ისევე როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მათ შორის მარტივი სახელმძღვანელო ინსტრუქციების, ბიუჯეტის, პროგრამების გამარტივებული ვერსიების შემუშავებისა და გასაგები ფორმით გავრცელებით (მაგ. გარდა მთლიანი დებულებისა, სასურველია ინფორმაციის წარმოდგენა მაგ. ინფოგრაფიკის ფორმით);
- სასურველია მომზადდეს მონაწილეობის პროცესების მარტივი აღწერილობები როგორც ზოგადი საკითხების, ისე ცალკეული სფეროების განხორციელებისათვის და მოხდეს მათი პოპოლარიზება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ყოველწლიური წამახალისებელი პროგრამების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფის გააქტიურებასა და ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

#### **ხელშემწყობი მექანიზმები/ინსტრუმენტები**

- სასურველია მუნიციპალიტეტში დაინერგოს დამატებითი ინსტრუმენტები/შესაძლებლობები არსებულ ფორმალურ მექანიზმებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის წასახალისებლად, (მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემა);
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გამოიჩინოს მეტი ძალისხმევა და დანერგოს მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო განხილვების ორგანიზების, მოქალაქეებისგან მოსაზრებების მიღებისა და თანა-გადაწყვეტის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას პოლიტიკის ციკლის ყველა ეტაპზე.

#### **საჯარო მოხელეების გაძლიერება:**

- აუცილებელია საჯარო მოხელეთა გადამზადება და შესაბამისი ინსტრუქციების/პროცედურების ნაკრების არსებობა საჯარო მოხელისთვის, რომელიც დაეხმარება მათ განსაზღვრონ როდის და როგორ წარმართონ მონაწილეობითი პროცესები და უზრუნველყონ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ჩართულობა მოქალაქეთა მონაწილეობის თემატიკის მიმართულებით;
- მნიშვნელოვანია შესაბამის საჯარო მოხელეებს გაუჩნდეთ მონაწილეობითი მიდგომების გამოყენების მოტივაცია მათ შორის მონაწილეობის აქტიური ხელშეწყობისთვის საჯარო მოხელეების შიდა წახალისების მექანიზმის გზით.

# დანართები

დანართი N1 მერის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ14.14232414

თარიღი:29/08/2023

## ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ქუჩის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეიქმნას ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის თვითშეფასებისა და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლევან დავითაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ნუკრი დეკანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) ედნარ ნატარიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

დ) რუსუდან ჟოჟაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ე) დავით კოპინაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების სამსახურის უფროსის მ/შ (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ვ) სოფიო მიქელაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ზ) მამუკა რამიშვილი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ (სამუშაო ჯგუფის წევრი);

თ) თეა ჩიჩუა - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ი) ნინო ბეჟანიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვის და მონიტორინგის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის მდივანი);

კ) ირინე შერვაშიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) (სამუშაო ჯგუფის წევრი);

## 2. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნას:

ა) ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ბ) ლელა ნემსაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

## 3. სამუშაო ჯგუფის კომპეტენციად განისაზღვროს:

ა) თვითშეფასების ელექტრონული კითხვარის შევსება, მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოქალაქეთა მონაწილეობის სამოქმედო გეგმის შემუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

ბ) სამოქმედო გეგმის აღსრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი.

4. სამუშაო ჯგუფის მუშაობის საერთო კოორდინაცია განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურმა.

5. სამუშაო ჯგუფის სხდომა მოიწვევა ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ საჭიროებისამებრ.

6. სამუშაო ჯგუფის მდივანი ჯგუფის წევრებს წინასწარ აცნობებს შეხვედრის ადგილის, თარიღის, დროის და დღის წესრიგის თაობაზე.

7. სამუშაო ჯგუფის შეხვედრისას დგება ოქმი, რომელშიც აისახება შეხვედრის მიმდინარეობა, რეკომენდაციები/გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერს ჯგუფის ხელმძღვანელი და მდივანი.

**8.** სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია საკითხის განხილვისას, წინადადების/რეკომენდაციის შემუშავებისას მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები. ექსპერტები და სპეციალისტები მონაწილეობენ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და რჩევებს/მოსაზრებებს/დასკვნებს და რეკომენდაციებს აწვდიან სამუშაო ჯგუფს.

**9.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**10.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი  
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



დანართი N2 მონაწილეობის მნიშვნელობა

შეფასების ბლოკები (თითოეული კითხვაში უმაღლესი შეფასებაა 4 ქულა, ხოლო მინიმალური შეფასება 1 ქულა) <sup>6</sup>	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით <sup>7</sup>
<b>ბლოკი II - მონაწილეობის მნიშვნელობა</b>	<b>3.18/4</b>	<b>2.95/4</b>
<b>დამოკიდებულება</b>	<b>2.2/2.8</b>	<b>2.2/2.8</b>
(2.1.1) საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა საჭიროებისა და შესაძლებლობის სრულად გასაგებად საკმარისია ექსპერტული ცოდნა და გამოცდილება	3	N/A
(2.1.2) მოქალაქეებს არ აქვთ გაცნობიერებული, თუ რა სჭირდებათ და რა არის მათთვის უკეთესი.	3	N/A
(2.1.3) მოქალაქეები გადაწყვეტილების მიღებისას, ძირითადად, პირადი ინტერესიდან ამოდიან და არ ითვალისწინებენ საერთო სარგებლის მნიშვნელობას	3	N/A
(2.1.4) მოქალაქეების მონაწილეობის პროცესი საკმაოდ ძვირადღირებულია დროის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ამიტომ ხშირად არ ღირს ამხელა რესურსის გაღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩასართავად	4	N/A
(2.1.5) ჩვენ გვაქვს ლეგიტიმური უფლებამოსილება და კომპეტენცია ყოველთვის თავად განვსაზღვროთ ის პრიორიტეტული საკითხები, რომელიც მოქალაქეებს ყველაზე მეტად აწუხებთ.	3	N/A
(2.1.6) საზოგადოებრივი მონაწილეობა რთული და ემოციური პროცესია, რაც იწვევს მოქალაქეებს შორის არსებული კონფლიქტების გაღრმავებას, ამიტომ მონაწილეობითი მიდგომის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი	3	N/A
(2.1.7) სანამ მოქალაქეებს არ ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარები, მონაწილეობითი პროცესის წარმართვა მიზანშეწონილი არ არის.	3	N/A
<b>წახალისება</b>	<b>0.98/1.2</b>	<b>0.75/1.2</b>
(2.2.1) ჩვენ უნდა დავანტერესოთ მოქალაქეები და სხვადასხვა საშუალების გამოყენებით ხელი შევუწყოთ მათ აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში	4	N/A
(2.2.2) ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებობს ყოველწლიური პროგრამები, რომელიც ახალისებს საზოგადოებრივი მონაწილეობის პროცესის მხარდამჭერ მოქალაქეებს ან მოქალაქეთა ჯგუფებს	4	4
(2.2.3) ძირითადად ვისთვის არის ამგვარი პროგრამები განკუთვნილი?	ახალგაზრდებისთვის	N/A
(2.2.4) ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებობს საზოგადოებრივი მონაწილეობის აქტიური ხელშეწყობისთვის საჯარო მოხელეების შიდა წახალისების მექანიზმი	3	1
(2.2.5) ჩვენ ვთავაზობთ მოქალაქეებს სივრცეს, სადაც შეუძლიათ შეიკრიბონ და გამართონ საჯარო დისკუსიები, მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე	2	1
(2.3) ზოგადი კომენტარი	N/A	N/A

<sup>6</sup> თითოეულ ბლოკში მინიმალური შესაფასება არის 1, მაქსიმალური 4. რაც შეეხება ქვებლოკებს, მათი მაქსიმალური შეფასება ცვალებადია.

<sup>7</sup> ვერიფიკაციის წყაროებით შეფასებისას აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ ფაქტობრივ კითხვებზე, შეფასებითი კითხვების ქულები ასახულია საერთო შეფასებაში, თუმცა აღწერის დროს გამოყენებულია აღნიშვნა N/A



დანართი N3 მონაწილეობის მარეგულირებელი ჩარჩო

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
<b>ბლოკი III - მარეგულირებელი ჩარჩო</b>	<b>2.45/4</b>	<b>1.68/4</b>
<b>სტრატეგია/ხედვა</b>	<b>0.15/0.6</b>	<b>0.15/0.6</b>
(3.1.1) მერიას შემუშავებული აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტი	1	1
(3.1.2) საკრებულოს შემუშავებული აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტი	1	1
(3.1.3) საკრებულო აწარმოებს მონიტორინგს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის შესახებ და ამზადებს ანგარიშებს	1	1
(3.1.4) რა ფორმით ახორციელებს საკრებულო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ერთიანი სტრატეგიის/ხედვის დოკუმენტის შესრულების მდგომარეობის ზედამხედველობას?	1	1
<b>ყოველწლიური ანგარიში</b>	<b>0.6/0.6</b>	<b>0.15/0.6</b>
(3.2.1) მერის ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ასახავს ინფორმაციას მოქალაქეთა მონაწილეობის	4	1
(3.2.2) საკრებულოს თავმჯდომარის ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ასახავს ინფორმაციას მოქალაქეთა მონაწილეობის	4	1
<b>სახელმძღვანელო</b>	<b>0.15/0.6</b>	<b>0.15/0.6</b>
(3.3.1) მუნიციპალიტეტს აქვს დოკუმენტი (პროტოკოლი, პროცედურების ნაკრები), რომელიც ეხმარება საჯარო მოხელეებს განსაზღვრონ როდის და რატომ უნდა გამოიყენონ მონაწილეობითი მიდგომა	1	1
(3.3.2) მუნიციპალიტეტს აქვს შიდა ინსტრუქციები საჯარო მოხელეებისთვის, როგორ უნდა წარმართონ მონაწილეობითი პროცესი (ფასილიტაცია)	1	1
(3.3.3) მუნიციპალიტეტს აქვს შიდა დოკუმენტი (პროტოკოლი, პროცედურების ნაკრები), რომელიც ეხმარება საჯარო მოხელეებს უზრუნველყონ ქალებისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის (მაგ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, სოციალურად დაუცველი პირები, იძულებით გადაადგილებული პირები, შშმ პირები და ა.შ.) ჩართულობა მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებისას	1	1
<b>სამუშაო აღწერილობა</b>	<b>0.15/0.6</b>	<b>0.15/0.6</b>
(3.4.1) საჯარო მოხელეების სამუშაო აღწერილობაში ასახულია მონაწილეობითი პროცესების მხარდაჭერა და წახალისება	1	1
<b>ბიუჯეტი</b>	<b>0.60/0.8</b>	<b>0.68/0.8</b>
(3.5.1) არის თუ არა მოქალაქეთა მონაწილეობისთვის ფინანსური რესურსი გამოყოფილი მუნიციპალიტეტის საერთო ბიუჯეტიდან?	4	4

(3.5.2) როგორ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხს?	4	4
(3.5.3) მთლიანი ბიუჯეტის რამდენ პროცენტს შეადგენს მონაწილეობითი პროცესისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი?	1%	N/A
(3.5.4) რამდენად არის მონაწილეობის პროცესებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მიზნობრივად ათვისებული?	2	4
(3.5.5) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პროგრამის/ქვეპროგრამის სახით გათვალისწინებულია	4	4
(3.5.6) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები შემდეგი მექანიზმების განხორციელების მხარდასაჭერად	1	1
<b>საკრებულოს მიერ კონტროლი/ზედამხედველობა</b>	<b>0.8/0.8</b>	<b>0.4/0.8</b>
(3.6.1) მუნიციპალიტეტში დამკვიდრებულია საკრებულოს მიერ (წევრის, კომისიების, ფრაქციის, ბიუროს) აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლების დაბარებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე მონაწილეობითი პროცესების ანალიზის შესახებ ინფორმაციის მოსმენის პრაქტიკა	4	2
(3.6.2) დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	N/A	N/A
(3.6.3) საკრებულოს წევრები იყენებენ აღმასრულებელი ორგანოსთვის კითხვით მიმართვის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მონაწილეობით პროცესებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის მისაღებად	4	1
(3.6.4) მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	N/A	N/A
(3.6.5) საკრებულო, მოქალაქეთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ აღმასრულებელი ორგანოსგან ინფორმაციას იღებს:	4	3
(3.6.6) მიუთითეთ ამგვარი შემთხვევების რაოდენობა ბოლო სამი წლის მანძილზე	N/A	N/A
(3.7) ზოგადი კომენტარი	2021 წელს გამომდინარე პანდემიური სიტუაციიდან ბიუჯეტში მონაწილეობითი ბიუჯეტზე თანხის გამოყოფა არ მომხდარა; 3.6.2-3.6.3 - 3.6.6 კითხვები გაწერილია რეგლამენტით	N/A

დანართი N4 დასახლების საერთო კრება

<b>ბლოკი IV - მონაწილეობის მექანიზმები</b>	<b>2.75/4</b>	<b>1.76/4</b>
<b>შეფასების ბლოკები</b>	<b>თვითშეფასება</b>	<b>შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით</b>
<b>დასახლების საერთო კრება</b>	<b>0.15/0.6</b>	<b>0.15/0.6</b>
(4.1.1) დასახლების საერთო კრება თქვენს მუნიციპალიტეტში ბოლო 3 წლის მანძილზე ჩატარდა	1: არც ერთ დასახლებაში	1
(4.1.2) ჩაწერეთ მუნიციპალიტეტში ჩატარებული კრების რაოდენობა	0	N/A

(4.1.3) თქვენი შეფასებით, დასახლების საერთო კრებების ჩატარების ტენდენცია არის:	1	1
(4.1.4) თქვენი აზრით, რა განაპირობებს არსებულ ტენდენციას/მდგომარეობას?	N/A	N/A
(4.1.5) თქვენს მუნიციპალიტეტში საერთო კრების რჩეული ჰყავს:	I: არ ხდება ანალიზი	1
(4.1.6) განსაზღვრეთ, რამდენი დასახლების საერთო კრების ინიციატორი იყო თითოეული აქტორი	არავინ იჩენს ინიციატივას/არ ტარდება	
(4.1.7) განსაზღვრეთ, დასახლების საერთო კრების მიერ ინიცირებული საკითხების რაოდენობა საკრებულოსა და მერიაში	0	
(4.1.8) განსაზღვრეთ, დასახლების საერთო კრების მიერ წარდგენილი საკითხებიდან რამდენი დაამტკიცა საკრებულომ და გაითვალისწინა მერიაში?	0	
(4.1.9) დასახლების საერთო კრების შესახებ:	1	1
(4.1.10) პერიოდულად დგება ანგარიში/ აკუმულირდება ინფორმაცია დასახლების საერთო კრების საქმიანობის შესახებ (ჩატარებული კრებების რაოდენობის, განხილული და ინიცირებული საკითხების, ინიცირებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის უკუკავშირის შესახებ და სხვა):	1	1
(4.1.11) ზოგადი კომენტარი	N/A	დასახლების საერთო კრების მექანიზმი ძალაქ ბათუმში არ მოქმედებს

დანართი N5 პეტიცია<sup>8</sup>

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
პეტიცია	0.45/0.6	0.25/0.6
(4.2.1) მიუთითეთ თქვენს მუნიციპალიტეტში წარდგენილი პეტიციების რაოდენობა (მათ შორის, ელექტრონული)	I წელს: 2 II წელს: 1 III წელს: 0	1
(4.2.2) თქვენი შეფასებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, პეტიციის (მათ შორის ელექტრონული პეტიციის) წარდგენის ტენდენცია არის:	2	N/A
(4.2.3) თქვენი აზრით, რა განაპირობებს არსებულ ტენდენციას?	მოსახლეობის პასიურობა	N/A
(4.2.4) პეტიციის წარდგენის უფლება აქვს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლის	4	4
(4.2.5) აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს ელექტრონული პეტიციის წარდგენის შესაძლებლობა დანერგული?	4	4
(4.2.6) პეტიციის წარდგენისას ძირითადად რომელი ფორმა გამოიყენება?	ძირითადად არაელექტრონული	N/A
(4.2.7) მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში საკრებულოს მიერ განხილული პეტიციების რაოდენობა (მათ შორის ელექტრონული)	I წელს: 2 II წელს: 0 III წელს: 0	N/A

<sup>8</sup> მასალები პეტიციის მექანიზმის შესახებ, 2024 წელი, <https://drive.google.com/drive/folders/1RbkWdC8rhHoYjQDtLvliax-VIAfGnEz8>, (ბოლო ნახვა: მაისი, 2024)

(4.2.8) მიუთითეთ, თქვენს მუნიციპალიტეტში საკრებულოს მიერ დაკმაყოფილებული პეტიციების რაოდენობა (მათ შორის ელექტრონული)	I წელს: 0 II წელს: 0 III წელს: 0	N/A
(4.2.9) რამდენი პეტიცია დააკმაყოფილა საკრებულომ ბოლო 3 წლის მანძილზე?	2	1
(4.2.10) განსაზღვრეთ, რამდენი პეტიციის ინიციატორი იყო თითოეული აქტორი	მოქალაქე:2 საინიციატივო ჯგუფი: 1	
(4.2.11) მონიშნეთ, პეტიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები	პრიორიტეტთან შეუსაბამობა	
(4.2.12) საკრებულოს მიერ დაკმაყოფილებული პეტიციებიდან რამდენი განხორციელდა ბოლო სამი წლის მანძილზე?	1	1
(4.2.13) გთხოვთ, არსებობის შემთხვევაში, აღნიშნოთ ის მიზეზები, რის გამოც დაკმაყოფილებული პეტიციების განხორციელება არ ხდება	ერთი პეტიცია განხილვის პროცესშია	
(4.2.14) პეტიციის განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, აქტიურად მიმდინარეობს კოორდინაცია მერიასა და საკრებულოს შორის	4	1
(4.2.15) პეტიციის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ ვადებთან	3	1
(4.2.16) პეტიციის განხილვის პროცესისა და შედეგების შესახებ ინიციატორს მიეწოდება ინფორმაცია	4	1
(4.2.17) გაქვთ თუ არა წარდგენილი პეტიციების რეესტრი?	4	1
(4.2.18) წარდგენილი პეტიციების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია	4	1
(4.2.19) საკრებულო ინტერესდება/თვალს ადევნებს უფლებამოსილების შესაბამისად მერიისთვის განსახილველად გაგზავნილი/ გადამისამართებული პეტიციების განხილვა-განხორციელების პროცესს:	1	1
(4.2.20) ზოგადი კომენტარი	N/A	N/A

დანართი N6 სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო<sup>9</sup>

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო	0.48/0.6	0.27/0.6

<sup>9</sup> მასალები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შესახებ, 2024 წელი, <https://drive.google.com/drive/folders/1RbkWdC8rhHoYjQDtLvliax-VIAfGnEz8>, (ბოლო ნახვა: მაისი, 2024)

(4.3.1) არსებობს თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო?	4	4
(4.3.2) რამდენად შეესაბამება მუნიციპალიტეტში არსებული მრჩეველთა საბჭოს მუშაობა დადგენილ დებულებას?	4	3
(4.3.3) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების პროცესი გამჭვირვალეა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გამოხატოს ინტერესი საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით	4	1
(4.3.4) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში რამდენი საკითხია ინიცირებული თითოეული აქტორის მიერ?	0	
(4.3.5) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო აქტიურია და ეფექტურად ფუნქციონირებს	4	4
(4.3.6) მიუთითეთ მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილი რეკომენდაციების რაოდენობა	I წელს : II წელს : 0 III წელს : 39	
(4.3.7) მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობა	I წელს: 0 II წელს: 0 III წელს: 28	
(4.3.8) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილი რამდენი რეკომენდაცია გაითვალისწინა მუნიციპალიტეტმა ბოლო 3 წლის მანძილზე?	4	1
(4.3.9) განსაზღვრეთ, გათვალისწინებული რეკომენდაციებიდან რამდენი იყო ინიცირებული თითოეული აქტორის მიერ?	მერის მიერ: 9 საბჭოს წევრების მიერ: 18 მოქალაქეების მიერ: 12	
(4.3.10) რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საბჭოს მიეწოდება ინფორმაცია	4	1
(4.3.11) მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობას	3	1
(4.3.12) მრჩეველთა საბჭოს სხდომების შესახებ წინასწარ ქვეყნდება ინფორმაცია	3	1
(4.3.13) მრჩეველთა საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	1	1
(4.3.14) როგორ რთავს მრჩეველთა საბჭო მოქალაქეებს საკუთარ საქმიანობაში?	1	1
(4.3.15) ზოგადი კომენტარი	საბჭოს შეკრების შესახებ პერიოდულად ინფორმაცია იდება სოციალურ ქსელში	N/A

დანართი N7 საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომები

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება	0.43/0.6	0.30/0.6
(4.4.1) მიუთითეთ საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	I წელს: 29 II წელს: 3 III წელს: 19	

(4.4.2) თქვენი შეფასებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების ტენდენცია არის:	3	3
(4.4.3) თქვენი აზრით, რა განაპირობებს მოქალაქეთა დასწრების არსებულ ტენდენციას?	საკითხისადმი ინტერესი	N/A
(4.4.4) საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება და მოსაზრების დაფიქსირება შესაძლებელია	სხდომებზე გამოცხადებით ლაივსტრიმის მეშვეობით	N/A
(4.4.5) საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ მოქალაქეებისთვის წინასწარ ხელმისაწვდომია ინფორმაცია:	4	4
(4.4.6) საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	1	1
(4.4.7) მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა	1	1
(4.4.8) საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის ჩატარებული სხდომების შესახებ ხელმისაწვდომია:	4	3
(4.4.9) საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომის ოქმებში ასახულია დაინტერესებული მხარეების ინიციატივები/რეკომენდაციები	4	1
(4.4.10) რამდენი ამგვარი ინიციატივა/რეკომენდაცია დაკმაყოფილდა ბოლო სამი წლის მანძილზე?	3	1
(4.4.11) ზოგადი კომენტარი	N/A	N/A

დანართი N8 მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა	0.28/0.4	0.21/0.4
(4.5.1) მიუთითეთ მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	N/A	N/A
(4.5.2) მიუთითეთ საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	N/A	N/A
(4.5.3) თქვენი შეფასებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე მოქალაქეთა დასწრების ტენდენცია არის:	3	3
(4.5.4) თქვენი შეფასებით, რა განაპირობებს მოქალაქეთა დასწრების არსებულ ტენდენციას?	დასწრების პროცედურები დასწრების შესაძლებლობები/ფორმები სხვა: მოქალაქეთა დაბალი ინტერესი	N/A
(4.5.5) მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენაზე ძირითადად ესწრებიან:	4	1



(4.5.6) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშებს აწარმოებს და აქვეყნებს	4	4
(4.5.7) მუნიციპალიტეტში შემუშავებული და დადგენილია მერისა და საკრებულოს წევრების ანგარიშების ერთიანი ფორმები	1	3
(4.5.8) მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში აფასებს მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმებს	1	1
(4.5.9) ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ მოქალაქეებისთვის წინასწარ ხელმისაწვდომია ინფორმაცია:	4	1
(4.5.10) ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ღონისძიების შესახებ ინფორმაცია მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საშუალებებით:	4	1
(4.5.11) ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ღონისძიების დღის წესრიგში გათვალისწინებულია მოქალაქეთა კითხვებისა და კომენტარებისთვის განსაზღვრული დრო	3	1
(4.5.12) ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის	4	4
(4.5.13) ყოველწლიური ანგარიშის დოკუმენტი ხელმისაწვდომია მოქალაქეებისთვის	1	4
(4.5.14) მუნიციპალიტეტის მერი, გაწეული მუშაობის შესახებ წარადგენს ანგარიშს მოსახლეობასთან არაუგვიანეს 1 ნოემბრისა	1	1
(4.5.15) გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, მოსახლეობასთან წარადგენს	3	1
(4.5.16) ზოგადი კომენტარი	მუნიციპალიტეტის მერი ანგარიშს წარადგენს საკრებულოს სხდომაზე, ანგარიშის წარდგენა ბოლოს მოხდა 2023 წლის 19 დეკემბერს	
		N/A

### დანართი N9 მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება<sup>10</sup>

შეფასების ბლოკები	თვითშეფასება	შეფასება ვერიფიკაციის წყაროების მიხედვით
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავება	0.47/0.6	0.29/0.6
(4.6.1) რამდენი საჯარო კონსულტაცია გაიმართა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ბოლო სამი წლის განმავლობაში?	I წელს: 14 II წელს: 14 III წელს: 14	N/A
(4.6.2) მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა	I წელს: 0 II წელს: 0 III წელს: 2100	N/A
(4.6.3) მიუთითეთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა	I წელს: 0 II წელს: 0 III წელს: 2100	N/A

<sup>10</sup> მასალები ბიუჯეტის შემუშავების შესახებ, 2024 წელი, <https://drive.google.com/drive/folders/1RbkWdC8rhHoYjQDtLvliax-VIAfGnEz8>, (ბოლო ნახვა: მაისი, 2024)

(4.6.4) თქვენი აზრით, როგორია ბოლო სამი წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ტენდენცია?	4	4
(4.6.5) თქვენი აზრით, რა განაპირობებს მოქალაქეთა მონაწილეობის არსებულ ტენდენციას?	მუნიციპალიტეტის ძალისხმევა	N/A
(4.6.6) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის საკონსულტაციო პროცესებში მონაწილეობენ	3	1
(4.6.7) მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პრიორიტეტების შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მერი ბრძანებით განსაზღვრავს მონაწილეობის კონკრეტულ გეგმასა და პასუხისმგებელი პირებს	4	1
(4.6.8) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად მერი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს	3	1
